ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №8

ლანჩხუთი **20.12.2021 წელი**
15.00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **გიორგი ხელაძე.**

კომისიის წევრები: მაკა მშვიდობაძე, კარლო წილოსანი, ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა: საპატიო მიზეზით - ია მოქია, კახაბერ ასკურავა.

სხდომას ესწრებოდა: მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე; საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **რუსუდან გვარჯალაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ ლანჩხუთში არსებული ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

4. სხვადასხვა.

1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე - ,,ქალაქ ლანჩხუთში არსებული ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე კომისიის თვმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ. განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოში შემოსულია მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება (29 მოქალაქე აწერს ხელს) რომლებიც ითხოვენ, რომ თავისუფლების ქუჩის №II ჩიხს, სადაც ცხოვრობდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ქალბატონი დარეჯან ქინქლაძე, გახდეს მისი სახელობის.

ქალბატონი დარეჯან ემელიანეს ასული ქინქლაძე (1926-2016) დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში, სკოლა მედალზე დაამთავრა, იმავე წელს ჩააბარა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო აცანის საშუალო სკოლაში ჯერ ისტორიის, შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1954 წელს შექმნა ოჯახი და მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის 9-წლიან სკოლაში. ამ სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ლანჩხუთის №2 საშუალო სკოლა, სადაც ის 37 წლის განმავლობაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. პენსიაზე გასვლამდე ქალბატონი დარეჯანი მუშაობდა ჯერ სოფ. ქვიანის და შემდეგ სოფ.ჩიბათის საშუალო სკოლებში.

1979 წლის 9 ოქტომბერს დარეჯან ქინქლაძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, ამავე წელს, გახდა „სახალხო განათლების წარჩინებული“.

1984 მიენიჭა წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება;

1985 წელს მიიღო უფროსი მასწავლებლის წოდება;

1986 წელს საპატიო ნიშნის ორდენოსანი გახდა;

1987 წელს შრომის ვეტერანის წოდება მიანიჭეს.

მიღებული აქვს განათლების სამინისტროს, განათლების პროფკავშირების, მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის და ხელოვნების ინსტიტუტის დიპლომები, სიგელები, მედლები (ყველა დოკუმენტი ზემოთ ჩამოთვლილისა დაცულია მის პირად არქივში).

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ - სამთავრობო დადგენილებით (№239-2015წ. 1 ივნისი) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ - სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო. აღნიშნული საკითხი შეთანხმებულია - გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების რეგისტრაციის აღრიცხვისა და დაცვის მიზნით მოქმედ სამთავრობო კომისიასთან (მიხეილ გვათუა).

გიორგი ხელაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საკრებულოში წარმოდგენილ განკარგულების პროექტში საჭიროა სათაურის შესწორება და მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ლანჩხუთში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული N2 ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა: ნინო მშვიდობაძემ, დარეჯან ბურჭულაძემ, მაკა მშვიდობაძემ. მათ მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის სადებითად გადაწყვეტას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ლანჩხუთში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული N2 ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი – 0

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული და მესაყიდვების საშსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძემ. მან განაცხადა, რომ მერიის ჩვენმე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად დღეს არსებული 700 ლარისა, 800 ლარის ოდენობით.
დადებითი მოსაზრება გამოთქვეს გიორგი ხელაძემ დარეჯან ბურჭულაძემ და ნინო მშვიდობაძემ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი – 0

3. დღის წესრიგის მესამე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამეურნო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ. მან კომისიის წევრებს დეტალურად გაანალიზა წარმოდგენილი გეგმის პროექტი.

კომისიის წევრების მიერ რაიმე სახის შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი – 0

4. სხვადასხვა.

1. საკრებულოს დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ მისასალმებელია მერიასა და საკრებულოში ხელფასების მატება, მაგრამ ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა ანაზღაურებაც აუცილებლად უნდა გადახედოს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დასკვნა №8

ლანჩხუთი **20. 12. 2021წელი**

2021 წლის 20 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ,,ქალაქ ლანჩხუთში არსებული ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

3. „ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ლანჩხუთში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული N2 ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“. აღნიშნულის გათვალისწინებით გადაეცეს საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 1. „ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.12.2021 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	15 55.	
2	ია მოქია	საპატიო მიზეზი	
3	გახაბერ ასკურავა	საპატიო	
4	მაკა მშვიდობაძე	14:58	
5	კარლო წილოსანი	14:55	
6	ნინო მშვიდობაძე	14:57	
7	დარეჯან ზურჯულაძე	14:57	